

ჯემალ გახოკიძე
ირაკლი გაბისონია
მიხეილ მამნიაშვილი,
პოლიკარპე (თემურ) მონიავა

საგამოძიებო სამართალი პირველი ნაწილი



წიგნი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით



თბილისი, 2017
გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო პროექტის „საგამოძიებო სამართლის“ ფარგლებში გამოცემულ სახელმძღვანელოს “საგამოძიებო სამართლის” პირველი ნაწილი, პროექტის ხელმძღვანელები არიან:

პროფესორი ჯემალ გახოკიძე

ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ირაკლი გაბისონია

პროფესორი მიხეილ მამნიაშვილი

რეცენზენტები:

ნიკოლოზ დგებუაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი, საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი

თამაზ მაჩიტაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მართველობის დოქტორანტი, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ოპერატიული სამმართველოს უფროსი

თეა შაყულაშვილი - სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას #75; ტელ.: 238 35 99; 557 51 51 34

Website: www.law.ge

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>

ISBN 978-9941-9561-0-2

„საგამოძიებო სამართალი“ ავტორთა კოლექტივის მრავალწლიანი სამეცნიერო და პრაქტიკული საგამოძიებო საქმიანობის შედეგია, რომელსაც არქიტექტონიკისა თუ განხილულ საკითხთა თემატიკის მრავალფეროვნებით ანალოგი არ გააჩნია, რადგან: მოიცავს გამოძიებასთან დაკავშირებით ისტორიულ მემკვიდრეობას და დღეს არსებულ რეალობას, როგორც ქართულ ისე საზღვარგარეთის წამყვან სახელმწიფოებში;

დეტალურად არის წარმოჩენილი გამოძიების ორგანოებისა და გამოძიებლის სტატუსით აღჭურვილ (გამომძიებელი, პროკურორი, ბრალდებული), ასევე გამოძიებასთან ასოცირებულ სუბიექტთა (მაგ. ჟურნალისტური გამოძიების პროცესში ჩართულ ჟურნალისტთა, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის) საქმიანობის ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც მონესრიგებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით და სხვა მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებით;

ახსნილია, წინა ხელისუფლების პირობებებში, გამოძიებლის როლის შესუსტების და სისხლის სამართლის იმ პოლიტიკის დამკვიდრების რეალური მიზეზები: ა) რომლებმაც შეინირა საქართველოს პროკურატურის ინსტრუქციური დამოუკიდებლობა; ბ) რომელთა გამოც გამოძიებელი დღემდე ვერ ასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ ვალდებულებას-ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების წარმოების შესახებ და გ) რამაც ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა გამოძიების ჩატარებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დეკლარირებული თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაცია.

აღნიშნულისა და იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ შეიცავს გამოძიების ორგანიზაციისა და საგამოძიებო საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიმართებით არაერთ პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციას, ნაშრომი დაეხმარება სტუდენტებს (ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს), გამოძიებლებს, პროკურორებს, ბრალდებულებს, ადვოკატებს, ასევე ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს, ღრმად ჩანვდნენ არსებულ პრობლემატიკას, რათა საჭიროების შემთხვევაში არა

მარტო გამოიყენონ ნაშრომში არსებული დებულებები, არამედ სხვა ქვეყნებში არსებულთან შედარების გზით ჩამოუყალიბდეთ საკუთარი ობიექტური შეხედულება მათ შესახებ. საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლებს კი მისცემს შესაძლებლობას იპოვონ ეფექტური გამოსავლი არსებული მდგომარეობიდან.

Investigative law' is a result of long-term academic and practical investigative activities of the team of authors which does not have analogue in terms of architectonics or the diversity of discussed topics as it covers the following issues: historical heritage related to investigation and current reality in Georgia as well as in leading foreign states.

The given work describes in detail the major aspects of the activities carried by investigative bodies and the individuals equipped with investigative powers (investigator, prosecutor, defendant) as well as the ones associated with investigation (for instance: investigative journalists, members of temporary investigation commission) which are regulated by Criminal Procedure Code of Georgia, Law on Freedom of Speech and Expression" and other legislative acts.

The work explains the real reasons of weakening investigator's role and and the introduction of new criminal policy by the previous government. The latter in fact caused the following: a) destroyed institutional independence of Prosecution Service of Georgia; b) Investigator is unable to fulfill the obligation of conduction thorough, complete and impartial investigation imposed for him by law; c) It made imposible to realize the principle of Equality of Parties and Adversarial Proceedings prescribed by Criminal Procedure Code of Georgia during investigation.

Taken the aforementioned and the fact that it implies practical recommendations on organization of investigation and further development of investigative process, the given work will help students (bachelors, masters, PhD students), prosecutors, investigators, defendants, lawyers and any other interested individuals to get familiar with the existing problems. The process will assist them to use the provisions offered by the said work in case of necessity and form their objective opinion on them with the use of comparative approach. The work will provide possibility to legislative, executive branches, judiciary and public representatives to find an effective solution out of the present situation.

სარჩევი

წინათქმა	9
თავი I	
საგამოძიებო სამართლის ცნება, საბანი, რეგულირების მეთოდი და პრინციპები	17
§1. საგამოძიებო სამართლის ცნება და რეგულირების საგანი.....	17
§ 2.საგამოძიებო სამართლის რეგულირების მეთოდები.....	22
§3. საქართველოს საგამოძიებო ორგანოების საქმიანობისა და ორგანიზაციის პრინციპები.....	29
თავი II	
გამოძიებასთან დაკავშირებით არსებული მემკვიდრეობის ზოგადი დახასიათება	48
§ 1. გამოძიების ინსტიტუტი და გამოძიების ორგანოები ძველ საქართველოში.....	48
§ 2. გამოძიება საქართველოში, მეფის რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნის დროიდან საბჭოთა პერიოდის ჩათვლით..	67
§ 3. გამოძიების ორგანიზაცია და გამოძიებლის უფლება-მოვალეობათა ფარგლები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.....	74
§ 4. საბჭოთა პერიოდში გამოძიებლის თანამდებობაზე გამწესებისა და გამოძიებლის მიერ სამსახურის გავლის წესი....	85
თავი III	
გამოძიება და საგამოძიებო ორგანოები	
საზღვარგარეთის ქვეყნებში.....	89
§ 1. გამოძიებასთან დაკავშირებით თანამედროვე მსოფლიოში არსებული ძირითადი მოდელების ზოგადი დახასიათება.....	89
§ 2. ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში არსებული საგამოძიებო ორგანოები და გამოძიება.....	91
§ 3. კონტინენტური ევროპის ქვეყნების გამოძიება და საგამოძიებო ორგანოები.....	101

თავი IV

გამოძიების სისტემა და ორგანიზაცია საქართველოში დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების შემდეგ.....128

§ 1. გამოძიების სისტემა და ორგანიზაცია 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.....	128
§2. გამოძიების სისტემა და გამოძიებლის სტატუსი მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.....	138
§3. გამოძიებლის სტატუსის მატარებელი სუბიექტები. გამოძიების ორგანიზაცია და გამოძიების პროცესში გამომძიებლისა და ბრალდებულის უფლებამოსილების ფარგლები.....	149

თავი V

გამოძიებასთან ასოცირებულ სხვა სუბიექტთა

საქმიანობა.....	165
§ 1. ჟურნალისტური გამოძიება.....	165
§ 2. პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია. მისი შექმნის წესი. პროკურატურასა და საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის ფარგლები.....	171

თავი VI

შეჯიბრებითობის პრინციპის არსი და მისი

რეალიზაციის პრობლემა საქართველოში.....	176
§1. შეჯიბრებითობის პრინციპის არსი სისხლის პროცესში და მისი დამკვიდრების ისტორია.....	176
§ 2. თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების რეალიზაციის ხელშემშლელი ძირითადი პრობლემები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში.....	185
§ 3. დაზარალებული გამოძიების სტადიაზე.....	205

თავი VI

გამოძიება.....247

§1. გამოძიება, როგორც სისხლის სამართლის პროცესის სტადია. მისი წინარე ეტაპი და დაწყების საფუძველები.....	247
--	-----

თავი VII

საგამოძიებო მოქმედებების სახეები.....261

§1. საგამოძიებო მოქმედებათა შესახებ ზოგადი დებულებები და მათი მიმართება გამოძიების ჩატარების წესებთან.....261

§2. სასამართლოს განჩინებით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები.....278

§3. გამოკითხვა და მისი ჩატარების წესი.....285

§4. გამოძიების სტადიაზე პირის მოწმედ დაკითხვა.....296

§5. ჩხრეკა და ამოღება, როგორც საგამოძიებო მოქმედება, მათი ჩატარების მიზანი, საფუძველი, წესი და სახეები.....314

§ 6. საბანკო ანგარიშების მონიტორინგი.....327

§7. დათვალიერება.....332

§8. საგამოძიებო ექსპერიმენტი.....347

§9. ამოცნობა.....358

§ 10. გვამის ექსპუმაცია.....361

გამოყენებული ლიტერატურა.....363

წიგნათქმა

საგამოძიებო საქმიანობა უძველესი დროიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მიუხედავად ამისა, საგამოძიებო სამართალი, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო კურსი არ იკითხება ეროვნულ უმაღლეს სასწავლებლებში და შესაბამისად ამ დასახელების სახელმძღვანელო დღემდე არ შექმნილა.

აღნიშნულის მიზეზი უნდა ვეძებოთ მასში, რომ საზოგადოებრივი განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე საგამოძიებო საქმიანობა საქართველოში განიხილებოდა სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის განუყოფელ ნაწილად. კერძოდ, დიდი ხნის მანძილზე მოსამართლე ამავე დროს იყო გამომძიებელიც, ხოლო სხვა სახელმწიფო ორგანოები შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ სამოსამართლეო ფუნქციების განმხორციელებელ პირთათვის დამხმარის როლით.

საბჭოთა პერიოდში სისხლის საპროცესო კანონმდებლობამ თითქოსდა აღიარა გამომძიებლის დამოუკიდებლობა, რადგან პროკურორთან ერთად გამომძიებელსაც მიანიჭა სისხლსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილება თუმცა, იმავდროულად მისი საქმიანობა დაუქვემდებარებას პროკუროროს ზედამხედველობას. რაც საბჭოთა კავშირის გენერალური და მისი ქვემდგომი პროკურორების მხრიდან მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ კანონთა შესრულებაზე ზედამხედველობაში გამოიხატებოდა და ხორციელდებოდა იმ მიზნით, რომ:

- არცერთი დანაშაული არ დარჩენილიყო გაუხსნელი და არც ერთ პირს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული თავი არ დაეღწია კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისათვის;

- დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირთა დაკავება მომხდარიყო მხოლოდ კანონით დადგენილი წესით;

- არავინ არ დაქვემდებარებოდა უკანონოდ და დაუსაბუთებლად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ან უფლებაში სხვაგვარად შეზღუდვას;

- არავინ დაქვემდებარებოდა დაპატიმრებას სასამართლოს გადაწყვეტილების ან პროკურორის სანქციის გარეშე;

- დაცული ყოფილიყო კანონით დადგენილი წესი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის და გამოძიების თაობაზე, ასევე გამოძიების ვადები, პროცესის მონაწილეთა და სხვა მოქალაქეების უფლებები;

- დანაშაულის გამოძიების დროს დაცული ყოფილიყო კანონის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის, ანუ როგორც მამხილებელი ისე, გამამართლებელი და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამოვლენის შესახებ;

- გამოვლენილიყო დანაშაულის ჩადენის მიზეზები და ხელშემწყობი გარემოებები და მიღებულიყო ზომები მათ აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოების მიერ კანონთა შესრულებაზე პროკურორის მიერ განხორციელებულ ზედამხედველობას „საბჭოთა კავშირის პროკურატურის შესახებ“ 1979 წლის 30 ნოემბრის კანონის 29-ე მუხლის თანახმად იგი გულისხმობდა პროკურორის კომპეტენციას იმასთან დაკავშირებით, რომ:

1) მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოებისაგან შესამოწმებლად მოეთხოვა სისხლის სამართლის საქმე, დოკუმენტები, მასალები და სხვა ცნობები ჩადენილი დანაშაულის შესახებ;

2) თვეში ერთხელ მაინც შეესწავლა კანონის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა ჩადენილი ანდა დანაშაულის მზადების შესახებ განცხადებების მიღების, რეგისტრაციისა და გადაწყვეტის თაობაზე;

3) შეეცვალა მოკვლევის და გამოძიებელი მიერ მიღებული დაუსაბუთებელი დადგენილება;

4) წერილობითი მითითებები მიეცა გამოძიების ჩატარების, აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლის ან გაუქმების, დანაშაულის კვალიფიკაციის, ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების და იმ პირთა ძებნის შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული;

5) მოკვლევის ორგანოსათვის დაევალებინა პირის დაკავება, მიყვანა, დაპატიმრების შესახებ დადგენილების შესრულება,

ასევე ამოღების, ჩხრეკის, დანაშაულის ჩამდენი პირის ძებნის და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება;

6) მონაწილეობა მიეღო მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების წარმოებაში, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში თვითონვე ჩაეტარებინა ცალკეული საგამოძიებო მოქმედები ანდა ეწარმოებინა გამოძიება სრულად;

7) მოეხდინა ჩხრეკის, საფოსტო-სატელეფონო კორესპონდენციებზე ყადაღის დადების და მათი ამოღების, ასევე თანამდებობიდან ბრალდებულის გადაყენების და სხვა საგამოძიებო თუ მოკვლევის ოგანოს მიერ ჩასატარებელი საქმიანობის სანქციონირება;

8) კანონით დადგენილი წესით და შემთხვევებში გაეგრძელებინა საგამოძიებო დაპატიმრობაში ყოფნის ვადები;

9) სათანადო მითითებებით სისხლის სამართლის საქმე დაებრუნებინა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად;

10) მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ერთი ორგანოდან სისხლის სამართლის ნებისმიერი საქმე ამოეღო და წინასწარი გამოძიების ერთი ორგანოდან მეორისათვის, ასევე ერთი გამოძიებლიდან მეორისთვის გადაეცა იგი;

11) გამოძიების პროცესში გამოძიებისა და მოკვლევისათვის ჩამოეცილებინა კანონის დამრღვევი პირი;

12) აღედრა სისხლის სამართლის საქმე, გამოეტანა დადგენლება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე;

13) გამოძიებლისა და მოკვლევის ორგანოებისათვის თანხმობა მიეცა საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ როცა ეს გავალისწინებული იყო კანონით;

14) დაემტკიცებინა საბრალდებო დასკვნა (ან/და დადგენილება) და სისხლის სამართლის საქმე წარემართა სასამართლოში.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ძირითადად უცვლელად დარჩა არსებული კანონმდებლობა. მოგვიანებით, ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების შედეგად კი, პროკურორს

მიენიჭა სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით დისკრეციული უფლებამოსილება, ხოლო გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა შეიცვალა პროკურორის მიერ განხორციელებული საპროცესო ხელმძღვანელობით, რამაც თვისობრივად ახლებურად წარმოაჩინა ეს საქმიანობა, კერძოდ ერთის მხრივ შეიზღუდა იმ სახელმწიფო მოსამსახურეთა და მოხელეთა უფლებამოსილება, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას, რადგან კიდევ უფრო მეტად აღმოჩნდნენ პროკურორზე დამოკიდებულნი, მეორეს მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38.7-ე მუხლმა ბრალდებულს მისცა უფლება დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება. თუმცა, საპროცესო კოდექსის დასახელებული ნორმა წინააღმდეგობაში აღმოჩნდა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-3.1 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის იმ იმპერატიულ დანაწესთან, რომლითაც მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება კრიმინალური პოლიცია და გამოძიება.

აღნიშნულმა, მართალია გარკვეულწილად ასახვა ჰპოვა სამეცნიერო ლიტერატურაში. თუმცა, ნაშრომთა უმეტესობა გამოძიებასთან დაკავშირებულ საკითხებს წარმოაჩენდა ზოგადად სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ქრილში. შესაბამისად, იურიდიული მეცნიერება ნაკლებად ინტერესდებოდა ისეთი თემებით, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა გამოძიებას ან თუნდაც მის თანაარსებობას მხოლოდ პროკურატურის ორგანოებთან.

ეს ტრადიცია დაირღვა 2015 წელს, როდესაც ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადდა და ქართულ ენაზე გამოიცა სახელმძღვანელო სახელწოდებით „საპროკურორო სამართალი.“¹ რაც წარმატებით იკითხება ქვეყნის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში.

თუმცა, ჯერ კიდევ დასახელებული ნაშრომის შექმნის პროცესში, გამოიკვეთა საგამოძიებო ორგანოების საქმიანობის პრინციპების, ამოცანების, ორგანიზაციის, უფლებამოსილების,

1 პ(თ) მონიავა. მ. მამნიაშვილი, ნ. რევაზიშვილი, ი. გაბისონია, თ. მონიავა, ნ. გელაშვილი, საპროკურორო სამართალი. თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო.“ 2015 წ.

ბრალდებულისათვის გამოძიების ჩატარების უფლებამოსილების მინიჭების კონსტიტუციასთან შესაბამისობის, გამოძიების პროცესის მწარმოებელი პირის, სხვა სტრუქტურებთან თანამშრომლობის, სამართალდამცავ ორგანოთა იერარქიაში გამოძიების კუთვნილი ადგილის ზუსტად განსაზღვრის, ქვეყნის მიერ გაცხადებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის, საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ მხრივ არსებული და საქართველოს ეროვნული მემკვიდრეობის კიდევ უფრო მეტი კონკრეტული კვლევის აუცილებლობის საკითხი. რის გამოც მიღებულ იქნა გადამწყვეტილება შექმნილიყო სპეციალური ნაშრომი სახელწოდებით საგამოძიებო სამართალი.

ამ სახის ნაშრომზე მოთხოვნილება იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ ქართული საგამოძიებო სკოლა, ყოველთვის გამოირჩეოდა პრინციპულობით² და მაღალი პროფესიონალიზმით³. ამ

2 ასე მაგ. თბილისის შს სამმართველოს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილე სულ რამოდენიმე დღით ადრე დანიშნულმა, გივი ლუბიანურმა, უარი თქვა ოპერატიული სამსახურის მიერ მოქალაქე თ.შ-სათვის ნარკოტიკული საშუალების ჩადების ე.წ. „გაპრავებაზე“ და პროტესტის ნიშნად დატოვა დაკავებული თანამდებობა.

3 ასე მაგ. 1998 წელს, ნალენჯიხის რაიონის, ერთ-ერთი ეკლესიის ეზოში ე.წ. „ლინჩის წესით“ გასამართლებული იქნა ადგილობრივი მაცხოვრებელი ს. კ-ლია. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს არ ჩაუდენია ის დანაშაული (გარდაცვლილისთვის ჩატანებული ნივთების ქურდობა), რასაც მას ედავებოდნენ, გარდაცვლილის ახლობლებმა, რამდენიმე ასეული ადამიანის მხარდაჭერით, დასძლიეს პოლიციის წინააღმდეგობა, ხელში ჩაიგდეს, მათ მიერვე მანამდე სასტიკად წაცემი, ს. კ-ლია და ეკლესიის ეზოში ჩაიდინეს მისი განზრდა მკვლელობა განსაკუთრებული სისატიკით.

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა (გამომძიებლები-ბეჟან ჩიქოვანი და სპატრაკ კუპრეშვილი. საოლქო პროკურორო (პ) მონიავა), პოლიციის ოპერატიული სამსახურის დახმარებით, უმოკლეს ვადაში გახსნა ეს დანაშაული და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა 15-მდე პირი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კი ისინი დანაშაულზე სცნო ჩადენილ დანაშაულში.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო ე.წ. „ლინჩის წესით“ გასამართლების შესახებ დანაშაულის გამოძიების პირველი წარმატებული შემთხვევა და არა მხოლოდ საქართველოში. რის გამოც საქართველოს საზოგადოებრივი მათემატიკის მეორე არხმა დოკუმენტური ფილმი გადაიღო ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, სადაც წამყვანმა ხაზგასმით აღნიშნა- „მთი იმის შესახებ, რომ ე.წ. ლინჩის წესით“ გასამართლების საქმის გამოძიება შეუძლებელია, გააქარწყლა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ“-ო;

2. გასული საუკუნის 80-იან წლებში, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რაიონში

სფეროში მოღვაწე არაერთი თაობის და ეროვნების გამომძიებელმა, კერძოდ მიხეილ (მიშა) ქურდაძემ, ვენედი ბენიძემ, რევაზ (რეზო) ყიფიანმა, ილია დავარაშვილმა, გიორგი (ყორა) აგლაძემ, ალექსანდრე (ალექო) კუხალაშვილმა, არსენ ნაჭყებია, მურთაზ კვინიკაძემ, ოთარ ჯაფარიძემ, ანზორ ხვადაგიაშვილმა, თემურ ონიანმა, შენგელი ფიცხელაურმა, გულბათ ბესიაშვილმა, გურამ ქარქაშაძემ, თემურ სახეჩიძემ, გურამ გიოშვილმა, ანზორ ლაცუზბაიამ, თამაზ ჭუმბურიძემ, ელდარ თოფჩიევამ, დავით ჯინჯოლაევამ, გიორგი (ყორა) ნურნუმიამ, ზაურ ქილიფთარმა, გიორგი (გია) ხაბულიანმა, ანატოლი მოშიაშვილმა, გორჩა ფარულავამ, თემურ მარგებაძემ, ზურაბ გუბელაძემ, იოსებ (სოსო) ჩიქოვანმა, რამაზ ლიპარტიამ, სულიკო ბოლქვაძემ, ჯემალ კობაიძემ, რეზო ზარანდიამ, მერაბ აბაშაძემ, გიორგი (ყორა) ყაჯრიშვილმა, გიორგი (გია) თოფურია, თამაზ მაჩიტაძემ, ზურაბ ჯორჯიკიამ, პაატა ნონკოლაურმა, ალექსანდრე (შურა) კვეციანიძემ, ისკო დასენმა, ზურაბ ქურდაძემ, თამაზ ქოქოშვილმა, მალხაზ სალაყაიამ, ზურაბ დონაძემ, ანგული ქირიამ, მერაბ დოლიძემ, მამედ ჯაფაროვმა, ოთარ ნიკოლაიშვილმა, ბორის კვარაცხელიამ, დემურ სურმაევამ, შალვა (ლორდი) ლებანიძემ, გივი ლუბიანურმა, თემურ მაზრაშვილმა, ზურაბ მატკავამ, ზურაბ ხატიაშვილმა, ნუგზარ ტაბალუამ, ალმერ (საშა) ბერიკელაშვილ-

დაპატიმრებული იქნა სკოლის მასწავლებელი, რომელსაც ბრალად ედებოდა თავისივე მოსწავლესთან, მცირეწლოვან გოგონასთან სექსუალური ძალადობა, რის შედეგადაც ამ უკანსკნელმა გააჩინა ბავშვი. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი უარყოფდა დანაშაულის ჩადენას, მის მიმართ საქმე წარმართა სასამართლოში და დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

საპატიმროში ყოფნის, რამდენიმე წლის განმავლობაში, მსჯავრდადებულ მასწავლებელს და მის დებს არ შეუწყვეტიათ ბრძოლა მასწავლებლის უდანაშაულობის დასამტკიცებლად, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე (კერძოდ, ზონის პროკურორ შალვა (ლორდი) ლებანიძის მიერ მომზადებულ დოკუმენტზე) დაყრდნობით საქმეზე წარმოება განახლდა და გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელ გურამ გიოშვილს.

გამომძიებელმა გ. გიოშვილმა მალალ პროფესიულ დონეზე ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებებით, რაც გამყარებული იქნა, ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული პირველი გენეტიკური ექსპერტიზის (იგი ჩატარდა ყოფილი ლენინგრადის, ამჟამად სანკტ-პეტერბურგის, აკადემიკოს იუსტინე ჯანელიძის სახელობის სამხედრო-საზღვაო სამედიცინო აკადემიაში) დასკვნით, უდავოდ შეძლო იმის დამტკიცება, რომ ბავშვის მამა იყო არა პატიმრობაში მყოფი მასწავლებელი, არამედ მოსწავლის მამინაცვალი.

მა, თემურ პიტავამ, თამაზ გოგალაძემ, მალხაზ საჯაიამ, კობა ნარჩემაშვილმა, პაატა ჯახუტაშვილმა, ვალერი იოსავამ, გურამ ავსაჯანიშვილმა, გიორგი (გია წამალაშვილმა), აბრაამ მარანტიდემ, იგორ სააკიანმა, ცისანა ქველიძემ, როლანდ ეჯიბაშვილმა, ავთო აბულაძემ, მეზრძოლი ჯკადუამ, მურთაზ ნარმანიამ, მერაბი შენგელაიამ, მამუკა ფიფიამ, გოდერძი მონიავამ, დავით ჯკადუამ, ელდარ ქირიამ, ვახტანგ კოდუამ, გიორგი (გოგი) ონიანმა, ონორე ცანავამ, რომან მხეიძემ, სპარტაკ კუპრეიშვილმა, ბეჟან ჩიქოვანმა, ომარ ცომიაიმ, რამინ კვარაცხელიამ, თენგიზ კვარაცხელიამ, ვახტანგ სართანიამ, სოსო ჭანტურიამ, ემანუელ ჭანტურიამ, დავით (დათო) თევზაძემ, გიორგი (გია) ჭანტურიძემ, თამაზ თუთბერიძემ, მერაბ სულაბერიძემ, რევაზ შეროზიამ, თამაზ დანელიამ, კოტე მარტაშვილმა, ნუგზარ სადრაძემ, ავთო შენგელიამ, ედიშერ რევიშვილმა, ნიკო მამნიაშვილმა, თემურ ლათიბაშვილმა, ზვიად ხუხიამ, შალვა ფხაკაძემ, გოდერძი ხიზანიშვილმა, ვლადიმერ (ვალოდია) ფონიამ, ომარ მდივნიშვილმა, დავით მეფარიშვილმა, რომან მხეიძემ, გურამ ჯანჯღავამ, გია ხულუ ზაურმა, გრიგოლ ბიბილაშვილმა და სხვებმა კი, არაერთი სირთულის (მათ შორის ზენოლის) და ყოფითი პრობლემის მიუხედავად არ უღალატა არჩეულ პროფესიას⁴ და თავისი წვლილი შეიტანა მის განვითარებაში.

მეტიც, ზოგიერთმა მათგანმა თავიც შესწირა ამ საქმეს (მაგ. ანგული ქირია, მიხეილ ქურდაძე და სხვები)⁵. ამდენად, წინამდევ-

4 ქვეყნისათვის ურთულეს პერიოდში, გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა ქვეყნის ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფდა საგამოძიებო და საპროკურორო დარგის მუშაკთათვის თუნდაც საარსებოდ აუცილებელ ანაზღაურებას (არაფერს ვამბობთ მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, რადგან ქვეყნის ბიუჯეტი ვერ აფინანსებდა ელემენტალურად საბეჭდი ქაღალდის შექმნასა და გამოძიებლის გადაადგილებასაც კი), მრავალშვილიანმა მამამ, ხობის რაიონის პროკურორის თანაშემწე ემანუელ ჭანტურიამ, რომლის ხელფასი სულ რაღაც 16 ლარს შეადგენდა, საქორწინო ბეჭედი ლომბარდში დააგირავა, რომ აღებული ფულით მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება ეწარმოებინა.

5 ანგული ქირია, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილი საგამოძიებო ჯგუფის წევრი იყო, 1991 წლის ზამთარში დაიღუპა სეპარატისტების მიერ დამონტაჟებული ტანკსაწინააღმდეგო ნაღმის ამოქმედების შედეგად ქალაქ ცხინვალში. მასთან ერთად, იმავე აფეთქებულ მანქანაში, მყოფი საგამოძიებო ჯგუფის წევრი მერაბ დოლიძე და სხვები კი შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს.

ბარე ნაშრომი მათი ღვაწლის და თავდადების დაფასებაც იქნება და კარგი მაგალითიც მომავალი თაობებისათვის.

მსგავსი დასახელების და არქიტექტონიკის მქონე ნაშრომი, ჩვენს სინამდვილეში, ადრე არ შექმნილა. რის გამოც დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან და ავტორთა კოლექტივი, რომლეთა მოღვაწეობაც წლების მანძილზე ასევე დაკავშირებული იყო საგამოძიებო საქმიანობასთან, სიამოვნებით მიიღებს და გაითვალისწინებს გამოთქმულ შენიშვნებს და წინადადებებს.

ქალაქ თბილისის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, გამომძიებელთა არაერთი თაობის აღმზრდელი და თვითონაც შესანიშნავი გამომძიებელი, მიხეილ ქურდაძე, მასზე განხორციელებულ თავდასხმას ემსხვერპლა 1992 წელს და აშ.

თავი I

საგამოძიებო სამართლის ცნება, საგანი, რეგულირების მეთოდი და პრინციპები.

§1. საგამოძიებო სამართლის ცნება და რეგულირების საგანი

ტერმინი „საგამოძიებო სამართალი“ ადრე არ არსებობდა და მხოლოდ ახლა იწყებს დამკვიდრებას. რის გამოც დღის წესრიგში დადგა იმის გარკვევის აუცილებლობის საკითხი თუ რა იგულისხმება ამ ტერმინის ცნების ქვეშ.

დასმულ კითხვაზე გარკვეულწილად პასუხს იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არაერთი ნორმა, კერძოდ დასახელებული კოდექსის:

ა) 1-ლი მუხლი, რომლითაც, ამ კოდექსის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლის სამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესების დადგენა;

ბ) 37.1 მუხლი, რომელიც გამოძიებლად მიიჩნევს სახელმწიფო მოსამსახურეს ან მოხელეს, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება;

გ) 38.7-ე მუხლი, რომლითაც ბრალდებულს დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით შეუძლია ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით და აშ.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საგამოძიებო სამართალი, ვინრო გაგებით, გულისხმობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების საფუძველზე რეგულირებულ ურთიერთობებს, რა დროსაც:

ა) გამოძიებელი უფლებამოსილია: მოახდინოს რეაგირება დანაშაულის შესახებ ინფორმაციაზე და დაიწყოს გამოძიება; გამოძიების დაწყების შემდეგ საქმეზე აწარმოოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება; დასახული მიზნის მისაღწევად ჩაატაროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული და სხვა საპროცესო მოქმედებები; შესაბამის ორგანოს მისცეს წერილობითი მითითება დაკა-

ვებულთა და დაპატიმრებულთა გამოძიების ადგილზე მიყვანის შესახებ; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების, აგრეთვე რევიზიის, ინვენტარიზაციის, საუნწყებო შემონმების ჩატარება და დოკუმენტის წარდგენა, მოიწვიოს თარჯიმანი, ექსპერტი, ამოსაცნობი პირი და აშ;

ბ) ბრალდებულს კი უფლება აქვს: დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებში; მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს.

თუმცა, საგამოძიებო სამართლის არსის გასარკვევად მხოლოდ ზემოთქმული არ კმარა, რადგან საგამოძიებო ორგანო და გამოძიების განმხორციელებელი სახელმწიფო მოსამსახურე ან მოხელე, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოქმედებებისა, ახორციელებს ოპერატიულ-საძებრო საქმიანობას, რაც რეგულირდება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ისევე, როგორც საკმაოდ დიდი უფლებამოსილებით არის წარმოდგენილი გამოძიებელი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა სამართლებრივი აქტებით მონესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობებში კერძოდ, იგი არათუ მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების ფარგლებში წარმოებულ საგამოძიებო მოქმედებებში, არამედ საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინაშე აღძრავს შუამდგომლობას უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვა-

ლისწინებული საპროცესო მოქმედებების ჩატარების თაობაზე, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას საქართველოს იუსტიციის მინისტრის მეშვეობით მოითხოვს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ბრალდებულის, მონმის, ექსპერტის ან დაზარალებულის გამოძახებას თავის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით და სხვა.

შესაბამისად, საგამოძიებო სამართალი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მოწესრიგებული ურთიერთობების გარდა, ფართო გაგებით სწავლობს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სამართლებრივ ურთიერთობებში საგამოძიებო ორგანოსა და გამომძიებლის (ასევე, ბრალდებულის ან მისი მეშვეობით ადვოკატის) მონაწილეობის ფორმებს და წარმოაჩენს მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე საგამოძიებო სამართალი, ერთის მხრივ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სამართლის მეცნიერება და მეორეს მხრივ, როგორც სასწავლო დისციპლინა.

საგამოძიებო სამართალი, როგორც სამართლის მეცნიერება წარმოადგენს იმ თეორიების, შეხედულებებისა და იდეების ერთობლიობას, რომლებსაც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეთ რაიმეს აკრძალვის ან/და უფლებამოსილების მინიჭების პრეტენზია, რადგან იგი იკვლევს საგამოძიებო საქმიანობის (მაგ. დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიების), როგორც მოვლენის არსს და მხოლოდ თეორიულ დასკვნებს იძლევა მისი განვითარების კანონზომიერებებზე.

საგამოძიებო სამართალი, როგორც სასწავლო დისციპლინა კი უზრუნველყოფს ამ სფეროს განვითარების შესახებ არსებული მასალების მოძიებას. ამასთან, არ შემოიფარგლება შესწავლილ მოვლენათა მხოლოდ აღწერით, რადგან სწავლობს და აანალიზებს არსებულ სასამართლო პრაქტიკას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებებს დანაშაულის გამოძიების წესების განვითარების კანონზომიერებებსა და ზოგადად გამოძიების საკითხებზე, ასევე დოქტრინალური ხასიათის სარეკომენდაციო წინადადებებს, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სამართლებრივ

ურთიერთობებში გამომძიებლის და საკუთარი უფლებების და-საცავად ბრალდებულის ან მისი მეშვეობით ადვოკატის, ასევე საგამომძიებო ორგანოს მონაწილეობასთან, დიდი მნიშვნელობა აქვთ კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის საქმეში.

რეგულირების საგანი. ზემოთქმული ცხადყოფს იმასაც, რომ საგამომძიებო სამართლს აქვს თავისი რეგულირების სა-განი და მისი არსი ვიწრო გაგებით მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის იმ დანაწესში სადაც ნათქვამია, რომ: ეს კოდექსი ადგენს დანაშაუ-ლის გამოძიების განხორციელების წესებს. ანუ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიზნებისა-თვის, საგამომძიებო სამართლის საგანია-დანაშაულის გამოძიე-ბასთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის სა-პროცესო კოდექსით დადგენილი წესების საფუძველზე განხორ-ციელებული სამართლებრივი ურთიერთობები.

თუმცა, საგამომძიებო სამართლის რეგულირების საგანი ამავდროულად მოიცავს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პროცესში გამომძიებელთა და საგამომძიებო ორგანოების მონაწილეობით წარმოებულ ურთიერთობებსაც, რადგან „ოპერა-ტიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების უფლება მინიჭებული აქვს- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო დანაყოფს; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო დანაყოფს; საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტს; საქართველოს უსაფრ-თხოების სამსახურის გამომძიებლებს; საქართველოს თავდაც-ვის სამინისტროს საგამომძიებო ქვედანაყოფს; პროკურატურის გამომძიებლებს; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესა-ბამისი დანაყოფის გამომძიებლებს;

ანალოგიურად, საგამომძიებო სამართლის რეგულირების საგანს წარმოადგენს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის ის სფერო, რაც ასოცირდება სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლე-ბრივი დახმარების აღმოჩენის, ერთობლივი საგამომძიებო ჯგუ-